სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის
ეროვნული ბიუროს უფროსს
ლერი ბარნაბიშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სქესის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ლერი,

საქართველოს სახალხო დამცველს 2020 წლის 5 აგვისტოს მომართა ა. ს.-ს წარმომადგენელმა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის” (WISG) იურისტმა - ქ. ბ.მ N8553/20 განცხადებით, რომელშიც მიუთითებს, რომ სსიპ ლევან სამხარაულის დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალს ექსპერტიზა ჩაუტარა მამრობითი სქესის წარმომადგენელმა ექსპერტებმა. განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ იგი გახდა სექსუალური შევიწროების და უხეში დამოკიდებულების მსხვერპლი ექსპერტთა მხრიდან.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

2020 წლის 26 ივნისს განმცხადებელი გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და იგი 27 ივნისს, დაახლოებით დილის 5 საათზე გადაიყვანეს სამხარაულის ბიუროს *დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში.* განმცხადებელს პოლიციის

თანამშრომლებმა აუხსნეს, რომ ექსპერტიზის დროულად ჩატარება მნიშვნელოვანი იყო და ბიუროს ქალი ექსპერტი არ ჰყავდა.

განმცხადებლის მითითებით, ექსპერტი მას არ მიესალმა და მთელი პროცესის დროს მითითებებს უხეშად აძლევდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ექსპერტმა შეუმოწმა ფეხები და ხელები და უხეშად სთხოვა მაისურის გახდა მკერდის შემოწმების მიზნით. ასევე ექსპერტმა განმცხადებელს ხელი უხეშად მოკიდა კიდურებზე, უბიძგა და არ უთქვას მისთვის თავად შემობრუნებულიყო.

2020 წლის 29 ივნისს განმცხადებელი მეორედ გადაიყვანეს იმავე დაწესებულებაში საქალწულე აპკის ექსპერტიზისათვის და ამჯერად მას ადგილზე დახვდა სხვა ორი ექსპერტი მამაკაცი და ყურადღება არც კი გაუმახვილებიათ იმაზე, რომ ქალი ექსპერტი არ ჰყავდათ. განმცხადებლის თქმით, ერთ-ერთმა ექსპერტმა მას საჯდომზე მოარტყა ხელი.

განმცხადებელი განმარტავს, რომ ორივე შემთხვევაში მისი მდგომარეობა იყო მძიმე და ჰქონდა სირცხვილის შეგრძნება, რასაც განსაკუთრებით ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ ექსპერტები მამაკაცები იყვნენ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ქალი ექსპერტის შემთხვევაში იგი მშვიდად იქნებოდა და არ გაუჩნდებოდა საკუთარი თავის დადანაშაულების შეგრძნება. ამასთან, ქალი ექსპერტი არ გამოხატავდა მხარდაჭერას მოძალადის მიმართ და არ შეეხებოდა მას საჯდომზე.

განმცხადებელმა 2020 წლის 13 ოქტომბერს წარმოადგინა დამატებითი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სადავოა განმცხადებელის მხრიდან ინფორმირებული თანხმობის მოპოვების საკითხი. მით უფრო იმ პირობებში, რომ ექსპერტიზის ბიუროს არ წარმოუდგენია წერილობით გაცხადებული თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი. განმცხადებლის მოსაზრებით, თანხმობის მოპოვება ერთგვარი ზეწოლის პირობებში მოხდა და მსხვერპლი საგამოძიებო ორგანოების მხრიდან წნეხის ქვეშ მოექცა.

1.2. მოპასუხე - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პოზიცია

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 24 სექტემბრის წერილში აღნიშნულია, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევაში ფიზიკური პირის გამოკვლევისას ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში ტარდება პირის ამბულატორიული (ვიზუალური) შემოწმება და გამოსაკვლევი პირის ორგანოების (საშო, საქალწულე აპკი, უკანა ტანის მიდამოები) გამოკვლევა.

წერილში ხაზგასმულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-9 ნაწილზე, რომლის თანახმადაც კანონმდებელი ითვალისწინებს შემდეგ წესს: თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობს ექსპერტი, ამასთან საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს გამოსაკვლევი პირის გაშიშვლებას, <u>გამოსაკვლევი პირის მოთხოვნის შემთხვევაში</u> *ექსპერტი და გამოსაკვლევი პირი უნდა იყვნენ ერთი და იმავე სქესის*

წარმომადგენლები. ამდენად, არსებული რეგულაცია არასავალდებულო ხასიათს ატარებს და დამოკიდებულია შესამოწმებელი პირის მოთხოვნაზე.

წერილში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკვლევი პირი არასრულწლოვანია და საგამოძიებო მოქმედების დროს აუცილებელია გაშიშვლება, კანონმდებელი იმპერატიულად სავალდებულოდ ითვალისწინებს, რომ ექსპერტი და გამოსაკვლევი პირი უნდა იყვნენ ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლები.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოსაკვლევი პირი (იგულისხმება სრულწლოვანი პირი) მოითხოვს ერთი და იმავე სქესის ექსპერტს სავალდებულოდ მონაწილეობას, საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელმა, სავალდებულოდ უნდა უზრუნველყოს ამავე სქესის შესაბამისი სპეციალობის ექიმის მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედების შესრულებაში.

მოპასუხე ასევე განმარტავს, რომ 2020 წლის 19 აგვისტოს განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების მიზნით, ბიუროს უფროსის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტს დაევალა დისციპლინური წარმოების განხორციელება. სამსახურეობრივი შემოწმების ჩატარების შედეგად უნდა დადგენილიყო 27 და 28 ივნისს განმცხადებლის მიმართ ჩატარებული ექსპერტიზის გარემოებები.

შსს წყალტუბოს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლის ი. ა.-ს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, ბიუროში დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც უნდა დაედგინა, აღენიშნებოდა თუ არა ა. ს.-ს სხეულზე რაიმე სახის დაზიანება. საექსპერტო დავალება შეასრულა ექსპერტმა - *შ. თ.-მ.* გამოკვლევა დაიწყო 2020 წლის 27 ივნისს, 04:19 საათზე და დასრულდა 05:00 საათისათვის. გამოკვლევის პროცესში ჩატარდა შესამოწმებელი პირის სხეულის გარეგნული დათვალიერება და ნაცხის ნიმუშის აღება. გასინჯვის დაწყებამდე, განმცხადებელს განემარტა, რომ აღნიშნულ ბიუროში ამ ეტაპზე მუშაობდნენ მხოლოდ მამრობითი სქესის სამედიცინო ექსპერტები. გამოკვლევა ითვალისწინებდა გამოსაკვლევი პირის გაშიშვლებას, რის თაობაზეც ა. ს.-მა თანხმობა განაცხადა. ექსპერტის განმარტებით, ა. ს. სავარაუდოდ იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

სამსახურეობრივი შემოწმების შემდგომ, *შ. თ.-ს* მიერ მომზადდა 2020 წლის 8 სექტემბრის ახსნა-განმარტებითი ბარათი. დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა, რომ გამოკვლევის ჩატარებამდე შესამოწმებელმა პირმა ნებაყოფლობით გამოხატა თანხმობა ექსპერტიზის ჩატარებაზე და უხეშობას ადგილი არ ჰქონია.

შსს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის ქ. ხ.-ს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, ბიუროში დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა. გამოკვლევით უნდა დადგენილიყო, ჰქონდა თუ არა საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული ა. ს.-ს და განსაზღვრულიყო მისი ხანდაზმულობა. საექსპერტო დავალება შეასრულა ბიუროს ორმა ექსპერტმა - *გ. გ.-მ და მ. ნ.-მ.*

ექსპერტ *გ. გ.-ს* განმარტებითი ბარათის თანახმადაც, ა. ს.-ს გამოკვლევა ჩატარდა 2020 წლის 28 ივნისს 09:33 სთ-დან 10:00 სთ-მდე. გამოკვლევის დაწყებამდე მეორე ექსპერტმა - *მ. ნ.-მ* განმცხადებელს განუმარტა, რომ აღნიშნულ ბიუროში ამ სპეციალობის ექსპერტებად მუშაობდნენ მხოლოდ მამრობითი სქესის ექსპერტები. განმცხადებელს უთხრეს გაეხადა საცვალი და მოთავსებულიყო გინეკოლოგიურ სავარძელზე. განმცხადებელმა განაცხადა ნებაყოფლობითი თანხმობა კვლევის ჩატარებაზე. ექსპერტის მითითებით, განმცხადებელს გაუჭირდა სავარძელზე სწორად მოთავსება და აუცილებელი გახდა ექსპერტების დახმარება. ამავე ექსპერტის განმარტებით, შემოწმება მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

ექსპერტ *მ. ნ.-ს* განმარტებითი ბარათის თანახმად, კვლევის დაწყებამდე მან განუმარტა ა. ს.-ს მისი უფლებები და ექსპერტიზის ჩატარების სპეციფიკა, რომ აუცილებელი იყო პირის გაშიშვლება და საქალწულე აპკის დათვალიერება. განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა კვლევის ჩატარებაზე. ექსპერტის განმარტებით, შემოწმება ჩატარდა ინციდენტის გარეშე და ამ სახის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელია შესამოწმებელ პირთან ფიზიკური შეხება. სხვაგვარად კვლევა ვერ ჩატარდება და ამგვარ შეხებას ჰქონდა ადგილი, რათა განმცხადებელი სწორად ყოფილიყო მოთავსებული სავარძელზე, რის შემდეგაც მოხდა მისი სასქესო ორგანოების დათვალიერება.

ბიუროს შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 16 სექტემბერს მომზადდა დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ ექსპერტებს: *შ. თ.-ს, გ. გ.-ს და მ. ნ.-ს* არ ჩაუდენიათ დისციპლინური გადაცდომა განმცხადებლის გამოკვლევის პროცესში და არ არსებობდა მითითებული პირების მიმართ დევნის დაწყების საფუძველი.

2020 წლის 13 ოქტომბერს ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოგვაწოდა დამაზუსტებელი ინფორმაცია და განმარტა, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, სადაც შესაძლებელია, სრულწლოვან გამოსაკვლევ პირს საექსპერტო გამოკვლევას უტარებს როგორც წესი, იმავე სქესის წარმომადგენელი ექსპერტი, რომელ სქესსაც მიეკუთვნება გამოსაკვლევი პირი. იგულისხმება ბიუროს სტრუქტურული ერთეული, სადაც მუშაობენ როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის სასამართლო ექსპერტები (მაგ.: თბილისში); არასრულწლოვანი გამოსაკვლევი პირის მიმართ ყველა შემთხვევაში ექსპერტიზას ატარებს მხოლოდ იმავე სქესის წარმომადგენელი ექსპერტი, რომლის სქესსაც მიეკუთვნება გამოსაკვლევი პირი. იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ექსტრემალურ პირობებში (მაგ.: ღამის საათებში) სრულწლოვანი პირის გამოკვლევა, ექსპერტიზის ჩატარება დამოკიდებულია გამოსაკვლევი პირის ნებაზე. ***<u>თუ არსებობს გამოსაკვლევი პირის თანხმობა, მას გამოკვლევას ჩაუტარებს საპირისპირო სქესის სასამართლო ექსპერტი.</u>***

იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკვლევი პირი უარს განაცხადებს საპირისპირო სქესის ექსპერტის გამოკვლევაში მონაწილეობაზე, საექსპერტო გამოკვლევას სხვა სქესის სასამართლო სამედიცინო ექსპერტი არ ჩაატარებს. ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელს ეძლევა წინადადება: ან მოახდინოს პირის ტრანსპორტირება ბიუროს იმ ქვედანაყოფში, სადაც დასაქმებული არიან იმავე სქესის წარმომადგენელი ექსპერტები, რომლებსაც მიეკუთვნება გამოსაკვლევი პირი ან წინადადება ეძლევა საგამოძიებო ორგანოს

წარმომადგენელს, მოიწვიოს სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც მიანიჭებს ექსპერტის სტატუსს.

ამასთან, ექსპერტიზის ბიურომ განმარტა, რომ *დღეის მდგომარეობით ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში* ***არ არიან დასაქმებული მდედრობითი სქესის ექსპერტი/ექსპერტები,*** *რომლებიც სექსუალური ძალადობის შემთხვევაში უფლებამოსილნი იქნებიან ჩაატარონ შესაბამისი საექსპერტო გამოკვლევა.*

2020 წლის 9 ნოემბერს მოპასუხემ მოწოდებული კორესპონდენციით აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში ექსპერტიზა ჩატარდა სამართალდამცავი ორგანოების დაკვეთის საფუძველზე და ექსპერტიზის ჩატარებამდე გამოსაკვლევი პირისათვის ცნობილი იყო, რომ გამოკვლევას ჩაატარებდნენ საპირისპირო სქესის ექსპერტები. არცერთ შემთხვევაში განმცხადებელს არ გამოუთქვამს პრეტენზია ექსპერტიზის ჩამტარებელი პირების სქესის თაობაზე. მან, როგორც სრულწლოვანმა პირმა გამოხატა ინფორმაციული თანხმობა ყოფილიყო გამოკვლეული ორივე შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოკვლევა საერთოდ არ ჩატარდებოდა ამ ექსპერტების მიერ ან დაწყებული კვლევა იქნებოდა შეწყვეტილი განმცხადებლის პრეტენზიის და მოთხოვნის საფუძველზე.

ხაზგასასმელია, ასევე მოპასუხის განმარტება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამოსაკვლევი სრულწლოვანი პირის წერილობითი ფორმით თანხმობის გამოვლენის აუცილებლობას, საპირისპირო სქესის ექსპერტების მიერ გამოკვლევის ჩატარების შემთხვევაში.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.[1] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს - პირიქით.“[2]

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,* ნაწ. II, პარ. 1.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ,* ნაწ. II, პარ. 2.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ, გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნით მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

მოცემულ შემთხვევაში, საკითხი ერთდროულად რამდენიმე უფლებას უკავშირდება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას.[3] აღნიშნული უფლება იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი, გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვების ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 55.

დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარესამყაროსთან.[4] აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის გარანტია, არ შემოიფარგლება მხოლოდ „შიდა წრით", არამედ მოიცავს გარე სამყაროს ჩართულობას ამ სფეროში, კერძოდ, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისა უფლებას.[5] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ინდივიდის სხეულთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე ინტიმური საკითხებია ადამიანის პირად ცხოვრებაში".[6] ასევე ევროპული სასამართლოს განმარტებით, ***პირადი ცხოვრება მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ ერთობას.***[7]

მოცემულ შემთხვევაში, ა. ს.-ს ექსპერტიზა ჩაუტარა საპირისპირო სქესის წარმომადგენელმა ექსპერტებმა, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი არ იყო უზრუნველყოფილი მისი საჭიროებების შესაბამისი ექსპერტებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს ხელი შეეშალა პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუვალობის რეალიზებაში.

2.3. განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ თანაბარი მოპყრობა

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.[8] შესაბამისად, უფლება, არ იყო დისკრიმინირებული ადამიანის გარანტირებული უფლებებით სარგებლობისას ირღვევა, მათ შორის, მაშინ, როდესაც, ლეგიტიმური მიზნისა და გონივრული გამართლების გარეშე, განსხვავებულად არ ეპყრობიან ადამიანებს, რომელთა სიტუაციებიც არსებითად განსხვავებულია.[9]

გარკვეულ სიტუაციებში, სახელმწიფოებმა, დასაქმებულებმა და მომსახურების მიმწოდებლებმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან არსებული წესებისა და პრაქტიკის იმგვარად მოსარგებად, რომ შესაბამისი განსხვავებები გათვალისწინებული იყოს.[10] ამდენად, ა. ს. არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა სხვა ძალადობის მსხვერპლ მამაკაცთან მიმართებით, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა თავისივე სქესის ექსპერტებისგან მიიღონ სამედიცინო მომსახურება. ამავდროულად, იგი არახელსაყრელ მდგომარეობაშია ჩაყენებული იმ არასრულწლოვან სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მიმართებით, რომელთაც საექსპერტო მომსახურებას უწევენ იმავე სქესის ექსპერტები.

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533, II, 3.
[5] ECtHR, Niemietz v. Germany , no. 13710/88, 16/12/1992, § 29.
[6] YF v. Turkey, No. 24209/94, 22/7/03, § 33.
[7] X and Y v. Netherlands, No. 8978/80, 26/3/85, § 22; Sandra Jankovićv. Croatia, No. 38478/05, 5.3.09, § 31§ 45.
[8] იქვე.
[9] *THLIMMENOS v. GREECE*, 6/04/2000,§ 44.
[10] ევროპული ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის სახელმძღვანელო, ევროკავშირის ოფისის გამომცემლობა, 2018, გვ. 69-70.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, თანაბარი მოპყრობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება და გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ - ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა *დე ფაქტო* დისკრიმინაცია.[11] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა არაპირდაპირი დისკრიმინაციის პრინციპიც[12]:

> *ისეთი ზოგადი პოლიტიკა ან ღონისძიება – რაც აშკარად ნეიტრალურია, მაგრამ აქვს არაპროპორციულად საზიანო ეფექტი ისეთ პირთა ან პირთა ჯგუფის მიმართ, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია [მაგალითად] მხოლოდ ეთნიკური ნიშნის მიხედვით – შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად იმის მიუხედავად, რომ ის სპეციალურად ამ ჯგუფისთვის არ არის გამიზნული; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ღონისძიება შესაძლოა გამართლებულ იქნეს ლეგიტიმური მიზნით და მიზნის მიღწევის საშუალება არის სათანადო, აუცილებელი და პროპორციული.*

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის განმარტებით, ორივე ექსპერტიზის ჩატარებამდე განმცხადებლისთვის ცნობილი იყო, რომ გამოკვლევას ჩაატარებდნენ საპირისპირო სქესის ექსპერტები და განმცხადებელს არ გამოუთქვამს პრეტენზია ექსპერტიზის ჩამტარებელი პირების სქესის თაობაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, *თუ საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს გაშიშვლებას, **შესამოწმებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში** ექსპერტი და მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი პირი.* არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კი **თუ გამოსაკვლევი პირი არასრულწლოვანია** და საგამოძიებო მოქმედების დროს აუცილებელია გაშიშვლება, კანონმდებელი სავალდებულოდ ითვალისწინებს, რომ **ექსპერტი და გამოსაკვლევი პირი უნდა იყვნენ ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლები.**

ამდენად, კანონმდებლობის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ **შესამოწმებელი პირის (იგულისხმება სრულწლოვანი პირი) მოთხოვნაა აუცილებელი იმისათვის,** რომ საექსპერტო

---

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე: *„საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“*, ნაწ. II, პარ. 25.

[12] Oršuš and others v. Croatia, No. 15766/03, 16.3.10, §150.

კვლევა იმავე სქესის ექსპერტმა შეასრულოს. მოპასუხე განმარტავს, რომ თუ გამოსაკვლევი პირი უარს განაცხადებს საპირისპირო სქესის ექსპერტის მონაწილეობაზე, მაშინ მოხდება პირის ტრანსპორტირება ბიუროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში ან/და სხვა ექსპერტის მოწვევა.

სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული წესი ფორმით ნეიტრალურია, ვინაიდან მსხვერპლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია მისი სხვაგან გადაყვანა ან/და იმავე სქესის ექსპერტის მოწვევა; თუმცა, მოცემული საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ პრაქტიკაში აღნიშნული წესი სრულყოფილად არ სრულდება და სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებს აყენებს არასახარბიელო მდგომარეობაში. სახალხო დამცველის შეფასებით, ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი პრაქტიკა ობიექტური განჭვრეტადობით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის უარყოფითი ზეგავლენის მომხდენია.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლის თუნდაც არაპირდაპირ იძულება, შეამოწმოს სხვა სქესის ექსპერტმა, არის გენდერულად არამგრძნობიარე მიდგომა. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით, სექსუალური ძალადობა გამოვლილი ქალების უმრავლესობისათვის არ იქნება სასურველი, მსგავსი ძალადობის შემდეგ სხვა მამაკაცი, თუნდაც, ექსპერტი შეეხოს. აღნიშნული შესაძლოა მსხვერპლისთვის განმეორებით მატრავმირებელი იყოს და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა უფრო მეტად დაამძიმოს. სწორედ ტრამვულ გამოცდილებაზე საუბრობს განმცხადებელი თავის წერილობით ახსნა-განმარტებაში და ხაზს უსვამს მისი ემოციური მდგომარეობის სიმძიმეზე. განმცხადებლის მძიმე ემოციურ ფონზე მეტყველებს, თავად ექსპერტთა ახსნა-განმარტებებიც, რომლებშიც ისინი აღნიშნავენ, რომ განმცხადებელს გაუჭირდა სავარძელზე სწორად მოთავსება და აუცილებელი გახდა მათი დახმარება.

როგორც სახალხო დამცველის ბოლოდროინდელმა კვლევამ გამოკვეთა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გავლა ხშირად **ტრავმული პროცედურაა.** სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას, რიგ შემთხვევაში, აწყდებიან არასენსიტიურ, ღირსების შემლახველ და გენდერულ სტერეოტიპებზე დამყარებულ მიდგომას, რაც აზიანებს მათ მონაწილეობას მართლმსაჯულების პროცესში და ახდენს მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას. სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, ხშირად, ექსპერტიზაზე უარს ამბობენ ექსპერტების სქესის გამო. დაზარალებულებს არ აქვს შესაძლებლობა, აირჩიონ ექსპერტის სქესი, შესაბამისად, რიგ შემთხვევაში, საპირისპირო სქესის წარმომადგენლის მხრიდან მსგავსი ტიპის ექსპერტიზის ჩატარება დამატებითი სტრესის მომტანია. იკვეთება არაერთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებულებმა უარი განაცხადეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე, რის მიზეზადაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის

სქესი დაასახელა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სამედიცინო ექსპერტები მსხვერპლების მიმართ არასენსიტიურ ენას იყენებენ.[13]

საკითხის პრობლემურობას ადასტურებს ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოთხოვნილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, ბიუროში დღესდღეობით, საქართველოს მასშტაბით, დასაქმებულია ჯამში 39 სამედიცინო ექსპერტი, საიდანაც მხოლოდ 9 არის ქალი. თბილისში დასაქმებული 20 ექსპერტიდან მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არის მხოლოდ 8. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა რეგიონებში, სადაც ჯამში დასაქმებული 19 სამედიცინო ექსპერტიდან მხოლოდ ერთია ქალი.[14]

აქვე საყურადღებოა, რომ ყველა საქმეში, ექსპერტიზის დასკვნაში, შაბლონურად არის მითითებული, რომ ექსპერტიზა ტარდებოდა მშვიდ გარემოში და მას რამე გართულებები არ ახლდა. ასეთი შაბლონური ჩანაწერი კითხვის ნიშნებს იწვევს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ტრავმული გამოცდილების გათვალისწინებით და ფორმალურ, შესაძლო გენდერულად არასენსიტიურ მიდგომაზე მიუთითებს.[15]

განსახილველ საქმეში, იმ შემთხვევაშიც კი, დადასტურებულ გარემოებად რომ მიგვეჩნია მოპასუხის განმარტება, რომ განმცხადებელი თანახმა იყო მამაკაც ექსპერტებს განეხორციელებინათ მისი გამოკვლევა, თავისთავად, არ გამოირიცხება განმცხადებლის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, ვინაიდან, რეალურად დამდგარი შედეგით ა. ს.-მა განიცადა დისკომფორტი. გარდა ამისა, მოპასუხეც ადასტურებს, რომ ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში **არ არიან დასაქმებული მდედრობითი სქესის ექსპერტები;** ამდენად, განმცხადებელს რომ მოეთხოვა მისი სქესის ექსპერტის შემოწმება, ეს მოთხოვნა ვერ იქნებოდა დაკმაყოფილებული აღნიშნულ საექსპერტო დაწესებულებაში. დაუშვებელია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალი აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში, რომ არჩევანის გაკეთება მოუწიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასა და მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისთვის ექსპერტიზის ჩატარებას შორის, სადაც დროს, უმრავლეს შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი ფორმით სავალდებულო სამედიცინო მკურნალობა, როგორი მცირეც არ უნდა იყოს ის, ადამიანის უფლებებში ჩარევას გულისხმობს.[16] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა,

---

[13] საქართველოს სახალხო დამცველის კვლევა „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში“, გვ. 37-38, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2020120814422521003.pdf?fbclid=IwAR0PfbNvTsCe4kcxTODjgODcT4Ovp4r2UO6O91-_CuiszkNLZpJ8PAUPAHI

[14] იქვე

[15] იქვე

[16] Acmanne and others v. Belgium, No. 10435/83, 10.12.84; DR 40, გვ. 254; YF v. Turkey, No. 24209/94, 22/7/03, § 33.

როდესაც პოლიციის მიერ დაკავებულ მომჩივნის ცოლს გინეკოლოგიური გამოკვლევის გავლა აიძულეს. სასამართლომ არ გაითვალისწინა მთავრობის არგუმენტი, რომ პატიმარს თანხმობა ჰქონდა გამოცხადებული, და დაადგინა, რომ ის არ იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლებოდა გამოკვლევისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც არც სამედიცინო აუცილებლობას წარმოადგენდა და არც ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნას.[17]

ყურადსაღებია ამავდროულად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინიც (Guidelines for medico-legal care for victims of sexual violence) რომლის თანახმად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისის მიწოდება უნდა განხორციელდეს რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპის დაცვით, რომელთაგან პირველია ავტონომიურობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ყველა ნაბიჯის გადადგმას მხოლოდ და მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის მოპოვების შემთხვევაში. გარდა აღნიშნულისა, ამავე გაიდლაინის თანახმად, მრავალ შემთხვევაში, ჯანდაცვის პროფესიონალის სქესი კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მდედრობითი სქესის პროფესიონალების შესაძლებლობა.[18]

რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას სექსუალური შევიწროების თაობაზე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულმა ექსპერტებმა არ დაადასტურეს მსგავსი ინციდენტი და საქმეში არ არსებობს არცერთი მტკიცებულება, რომელიც განმცხადებლის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტს დაადასტურებდა.

3. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ა. ს.-ს მიმართ განახორციელდა ირიბი დისკრიმინაცია სქესის ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო მოგმართავთ რეკომენდაციით:

- სსიპ ლევან სამხარაულის დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში დაასაქმოთ ქალი ექსპერტი/ექსპერტები, რომლებიც სექსუალური ძალადობის შემთხვევაში უფლებამოსილნი იქნებიან ჩაატარონ ექსპერტიზა;

[17] YF v. Turkey, No. 24209/94, 22/7/03.

[18] Guidelines for medico-legal care for victims of sexual violence, ხელმისაწვდომია აქ: https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/42788/924154628X.pdf;jsessionid=7755C0BE584FDFC5F51CC24283F8A8C8?sequence=1 გვ.14-19.

- მომავალში, ნებისმიერი საქმიანობის წარმართვისას, გაითვალისწინოთ თქვენ მიერ შეთავაზებული ექსპერტიზის მიმღებ პირთა განსხვავებული საჭიროებები;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისთვის, რომელთაც ევალებათ სექსუალური ძალადობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარება უზრუნველყოთ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთან კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,